აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3

2026 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

„აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 აგვისტოს №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 აგვისტოს №8 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 08/08/2017, 010320010.35.102.016160) დამტკიცებული დანართი №1 შეიცვალოს შესაბამისად ახალი №1 დანართით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

აჟარის (ზემო აფხაზეთის)
მუნიციპალიტეტის საკრებულოს **სპარტაკ გურჩიანი**
თავმჯდომარე

დანართი №1

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა

№	რანგი	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1		საკრებულოს თავმჯდომარე – პოლიტიკური თანამდებობის პირი	4980	1
2		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – პოლიტიკური თანამდებობის პირი	3530	1
3		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე – პოლიტიკური თანამდებობის პირი	2760	4
4		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე – პოლიტიკური თანამდებობის პირი	2760	1
5		ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი • აპარატის უფროსი	2100	1
		საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი		

6	მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე	სპეციალისტი	1600	3